

COVID 19-ის გავლენა ოჯახში ძალადობაზე, მსხვერპლი ქალების მდგომარეობასა და სერვისებისადმი ხელმისაწვდომობაზე

მონიტორინგის ანგარიში

ფონდი „სოხუმი“
მაისი, 2020

COVID 19-ის გავლენა ოჯახში ძალადობაზე, მსხვერპლი ქალების მდგომარეობასა და სერვისებისადმი ხელმისაწვდომობაზე

მონიტორინგის ანგარიში

ფონდი „სოხუმი“ • მაისი, 2020

სარჩევი

1. COVID-19-ის გავლენა ოჯახში ძალადობაზე მსოფლიოსა და საქართველოში 3

2. სწრაფი მოკვლევის აქტუალობა, მიზანი და მეთოდოლოგია 7

3. შექმნილი მდგომარეობის გავლენა ოჯახში ძალდობასა და მსხვერპლ ქალებზე 8

3.1. მსხვერპლ ქალთა არსებული მდგომარეობა 8

3.2. მიმართვიანობის ნაკლებობა: მიზეზები, გამოწვევები, მოლოდინები 11

4. მსხვერპლთა საჭიროებები - რეაგირება, სერვისები და მათზე ხელმისაწვდომობა 14

დასკვნა და რეკომენდაციები 18

დაიბეჭდა გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით

Brot für die Welt

Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

1. COVID-19-ის გავლენა ოჯახში ძალადობაზე მსოფლიოსა და საქართველოში

ახალი კორონავირუსის (COVID-19)-ის გავრცელების შედეგად მთელ მსოფლიოში შექმნილმა საგანგებო მდგომარეობამ გაამწვავა ოჯახში ძალადობის პრობლემა პლანეტის თითქმის ყველა კუთხეში. მონაცემები ცხადყოფს იმ კატასტროფულ გავლენას, რომელიც COVID-19 პანდემიამ უკვე მოახდინა და, შესაძლოა, იქონიოს ქალებსა და გოგონებზე. ისტორიული გამოცდილების მიხედვით, პანდემია გენდერულ უთანასწორობას კიდევ უფრო აღრმავებს. ეპიდაფეთქებების შესწავლა აჩვენებს, რომ იმატებს ოჯახში ძალადობის რისკები.[1] გაეროს მოსახლეობის ფონდის თანახმად, იზოლაციის პერიოდის ყოველი 3 თვით გახანგრძლივებისას, დამატებით მოსალოდნელია გენდერული ნიშნით ძალადობის 15 მილიონი შემთხვევის არსებობა.[2] ქალთა მიმართ ძალადობის სისტემური პრობლემა კრიზისის დროს კიდევ უფრო გამწვავდა.[3] გაეროს ქალთა ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის შეფასებით, COVID-19 პანდემიის ფონზე, მთელ მსოფლიოში ძალას იკრებს **ქალთა მიმართ ძალადობის ჩრდილოვანი პანდემია.**[4] ახალი კორონავირუსის პანდემიის აფეთქების შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა, ამავდროულად, შემცირდა სერვისებზე ხელმისაწვდომობა.[5]

ეს პრობლემა აღიარებულია, პრაქტიკულად, ყველა საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ, რომლებიც გამოთქვამენ შეშფოთებას იზოლაციის პირობებში ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის გაზრდილ რისკებსა და სერვისებზე წვდომის შეზღუდვის გამო.[6] რეკომენდაციების მიუხედავად, სახლში დარჩენა, შესაძლოა, საშიში

1 As pandemic rages, women and girls face intensified risks - https://georgia.unfpa.org/en/news/pandemic-rages-women-and-girls-face-intensified-risks-7

2 UNFPA-ის ახალი პროგნოზით, COVID-19-ის პანდემიის გახანგრძლივება ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე სავალალო გავლენას იქონიებს - https://bit.ly/2zLpTzi

3 Impact of COVID-19 on violence against women and girls in Eurasia - https://www.equalitynow.org/covid_19_vawg_eurasia

4 Violence against women and girls: the shadow pandemic - Statement by Phumzile Mlambo-Ngcuka, Executive Director of UN Women - https://www.unwomen.org/en/news/stories/2020/4/statement-ed-phumzile-violence-against-women-during-pandemic

5 COVID-19 and Ending ViolenceAgainst Women and Girls, p. 2, 4 - https://www.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/library/publications/2020/issue-brief-covid-19-and-ending-violence-against-women-and-girls-en.pdf?la=en&vs=5006

6 „COVID-19 crisis: Secretary General concerned about increased risk of domestic violence“ - https://www.coe.int/en/web/portal/-/covid-19-crisis-secretary-general-concerned-about-increased-risk-of-domestic-violence

იყოს ბევრი ქალისათვის.[7] ქალთა მიმართ ძალადობის რისკს ზრდის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური დაუცველობა, სტრესულ პირობებში იზოლაცია.[8] რადგან, ძირითადად, ქალები უზრუნველყოფენ ოჯახში საჭმლის მომზადებას, ამ მხრივ, კრიზისის შედეგად შექმნილი დანაკლისიც ამძაფრებს ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმას.[9]

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებითაც, პანდემიის შედეგად შექმნილმა ვითარებამ დრამატულად გაზარდა ოჯახში ძალადობა. საგანგაშოა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა, კერძოდ, პარტნიორებისგან ძალადობის მსხვერპლ ქალთა მიმართვიანობამ აპრილში, წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით, 60%-ით მოიმატა. ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის ბიურო მოუწოდებს სახელმწიფოებს, გააგრძელონ სოციალური სერვისების შეთავაზება, გაზარდონ თავშესაფრებისა და სხვა სერვისების მასშტაბები.[10] გაეროს ქალთა ორგანიზაცია სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს, პანდემიით დაზარალებულ საზოგადოებაში პრიორიტეტად აქციოს გენდერული ძალადობის პრევენციისა და რეაგირების სერვისების მიწოდება, აგრეთვე ხელმისაწვდომი გახადოს ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მაჩვენებლები.[11]

საქართველოს მთავრობის განცხადებით, **პანდემიის პირობებშიც შენარჩუნებულია მკაცრი პოლიტიკა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ.** შემუშავდა COVID-19-ის კრიზისის დროს ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკომუნიკაციო სტრატეგია. ადამიანის უფლებების საბჭოს გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისია აგრძელებს **ცნობიერების ამაღლების კამპანიას** ადრესატებამდე იმ სერვისებისა და დახმარების შესახებ ინფორმაციის მისატანად, რასაც სახელმწიფო ძალადობაგამოვლილ ადამიანებს სთავაზობს. კამპანიის ფარგლებში, უწყებათა თანამშრომლობით, საკარანტინო სასტუმროებში **ვრცელდება ინფორმაცია როგორც საკონსულტაციო და გადაუდებელი ცხელი ხაზების, ასევე თავშესაფრების და კრიზისული ცენტრების შესახებ**. ინფორმაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით სააფთიაქო ქსელებსა და მაღაზიებშიც განთავსდება.[12] 24-საათიან რეჟიმში ხელმი-

7 Amidst Coronavirus pandemic, UNDP rings the alarm on domestic violence - https://www.eurasia.undp.org/content/rbec/en/home/stories/coronavirus-pandemic-albania-domestic-violence.html

8 A Gender Lens on COVID-19: Pandemics and Violence against Women and Children - https://www.cgdev.org/blog/gender-lens-covid-19-pandemics-and-violence-against-women-and-children

9 The COVID-19 Outbreak and Gender: Key Advocacy Points from Asia and the Pacific, p.1 - https://www2.unwomen.org/-/media/headquarters/attachments/sections/news%20and%20events/stories/2020/giha%20wg%20advocacy%20brief%20gender%20impact%20covid19.pdf?la=ka&vs=0

10 WHO warns of surge of domestic violence as COVID-19 cases decrease in Europe - https://unric.org/en/who-warns-of-surge-of-domestic-violence-as-covid-19-cases-decrease-in-europe/

11 ქალების საჭიროებებსა და ლიდერობაზე ყურადღების გამახვილება COVID-19-ზე რეაგირებას გააძლიერებს - https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2020/03/news-womens-needs-and-leadership-in-covid-19-response

12 სახელმწიფო ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის გატარებას აგრძელებს - http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=198&info_id=75997

საწვდომია საკონსულტაციო ცხელი ხაზი (116 006). ქვეყნის მასშტაბით **მუშაობას აგრძელებენ კრიზისული ცენტრები და თავშესაფრები.** სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ნაწილობრივ დისტანციურ რეჟიმში აწოდებს ბენეფიციარებს უფასო იურიდიულ და ფსიქოსოციალურ სერვისებს, იგეგმება დისტანციური ფსიქოლოგიური კონსულტაციების სერვისების დამატებაც.[13]

პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო ადასტურებს არსებული სიტუაციის განსაკუთრებით მავნე ზეგავლენას ქალებზე და საჭიროდ მიაჩნია პანდემიის პერიოდში თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას, შეძლებისდაგვარად, გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელება და ქალთა განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება.[14] საბჭოს რეკომენდაციები მთავრობისადმი ითვალისწინებს: ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და რეაგირების მხრივ გასატარებელ ღონისძიებებს.[15]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდეგში - შსს) მონაცემებით, **თავდაპირველად, მსხვერპლთა მიმართვიანობა არ გაზრდილა.** 2020 წლის მარტში, ოჯახურ კონფლიქტებსა და ძალადობასთან დაკავშირებით 112-ში დაფიქსირებული შეტყობინებების რაოდენობა თითქმის იდენტური იყო წინა ორ თვეში დაფიქსირებული შემთხვევებისა.[16] ექსპერტები[17], ასევე სახალხო დამცველი აღნიშნავდნენ, რომ **მიმართვიანობის ძველ ნიშნულზე შენარჩუნება უკავშირდებოდა კომუნიკაციის საშუალებებზე მსხვერპლების წვდომის შეზღუდვას**[18] და მოუწოდებდნენ ძალადობის რეალური მასშტაბის გამოსავლენად უფრო აქტიური მუშაობისკენ. ოჯახში ძალადობის მონაცემების უფრო დეტალურად შეფასების მიზნით, შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა სპეციალურ მეთოდოლოგიაზე დაიწყო მუშაობა.[19]

---

13 COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის მიუხედავად, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი პოლიტიკის გატარება გრძელდება - http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=198&info_id=75857

14 გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას - http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/angarisebi-daskvnebi/covid-19

15 გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას - https://bit.ly/2X4upkd

16 შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას - https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministro-agrdzelebs-odjakhshi-dzaladobis-tsinaaghmdeg-efeqtian-brdzolas/13440

17 ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიმართვა სახელმწიფო უწყებებს - https://bit.ly/2AGUYVn

18 სახალხო დამცველის მოადგილე - პანდემიის გამო, ძალადობის მსხვერპლ პირებთან კომუნიკაცია უფრო მეტად გართულდა - https://www.interpressnews.ge/ka/article/599776-saxalxo-damcvelis-moadgile-pandemiis-gamo-zaladobis-msxverpl-pirebtan-komunikacia-upro-metad-gartulda

19 COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის მიუხედავად, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი პოლიტიკის გატარება გრძელდება - http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=198&info_id=75857

რადგანაც იზოლაციაში მოძალადის მუდმივი მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ აღმოჩენილ მსხვერპლს ხშირად არ შეუძლია ტელეფონზე ლაპარაკიც კი, გააქტიურდა 112-ის აპლიკაციის[20] გამოყენების მოწოდება, რომელიც განგაშის ღილაკის დახმარებით, მოძალადისგან ფარულად პოლიციასთან დაკავშირების საშუალებას იძლევა. სახელმწიფო ავრცელებდა აპლიკაციისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული სხვა მექანიზმების შესახებ ინფორმაცის, მათ შორის SMS შეტყობინებებით. კამპანიამ შედეგი გამოიღო: შსს-ს მონაცემებით, 15-დან 30 აპრილის ჩათვლით, ჩუმი განგაშის ღილაკის მეშვეობით პოლიციის გამოძახების 11 ფაქტი იყო, მაშინ როცა წინა სამი თვის განმავლობაში ასეთი სულ 8 შემთხვევა დაფიქსირდა.[21] **აპრილის მეორე ნახევარში, პირველ ნახევართან შედარებით, ძალადობის ფაქტების შესახებ მიმართვიანობისა და გამოძიების დაწყების რაოდენობა 13%-ით გაიზარდა,** იმატებს 112-ზე შესული შეტყობინებების რაოდენობაც.[22] ეს რიცხვები კარგად აჩვენებს საინფორმაციო კამპანიების და სახელმწიფოსგან მსხვერპლის მხარდაჭერის მნიშვნელობას და წარმოდგენას ქმნის ძალადობის რეალურ მასშტაბებზე.

20 სერვისის შესახებ - http://112.gov.ge/index.php?m=150

21 შს მინისტრის მოადგილის განცხადება - https://bit.ly/3dVYOrT

22 შს მინისტრის მოადგილის განცხადება - https://bit.ly/2zIK40G

2. სწრაფი მოკვლევის აქტუალობა, მიზანი და მეთოდოლოგია

ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგთან ქალთა ფსიქოემოციური მდგომარეობისა და სტრესის მართვის, ასევე ოჯახში კონფლიქტების საკითხებზე მომართვიანობის კარდინალურმა ზრდამ განაპირობა სწრაფი მოკვლევის ჩატარების აუცილებლობა, რათა უფრო დეტალურად მომხდარიყო სამიზნე რეგიონებში COVID-19 პანდემიის გავლენის შესწავლა და შეფასება ოჯახში ძალადობასა და მსხვერპლთა მდგომარეობაზე.

მონიტორინგი განხორციელდა 04.04.20-დან 04.05.20-მდე პერიოდში, ფონდი „სოხუმის“ სამიზნე 11 მუნიციპალიტეტში (ქუთაისი, წყალტუბო, თერჯოლა, ხონი, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი (კოკი, ხურჩა, შამგონა, კახათი), წალენჯიხა (ფახულანი, წყოუში), ლანჩხუთი, ოზურგეთი, ქობულეთი). დისტანციურ რეჟიმში, ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა ორგანიზაციის ბენეფიციარი მსხვერპლები, ასევე - ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ბენეფიციარები, სერვისების მიმწოდებელი სპეციალისტები არასამთავრობო სექტორიდან და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ჩატარდა 8 ჩაღრმავებული ინტერვიუ, 2 ონლაინ შეხვედრა ფოკუს-ჯგუფის ფორმატში ფონდი „სოხუმის“ ბენეფიციარ ქალებთან. სულ გამოიკითხა 27 რესპონდენტი. ასევე შედგა სატელეფონი საუბარი რამდენიმე საკარანტინო ცენტრთან. შეზღუდული დროისა და რესპონდენტთა რაოდენობის სიმცირის გათვალისწინებით, წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილ შედეგებს არ აქვს პრეტენზია, რომ სრულყოფილად ასახავს ყველა პრობლემას. თუმცა ფონდის ბენეფიციარების ცხოვრებაში გამოკვეთილი გამოწვევების ანალიზი, გარკვეულწილად, წარმოდგენას ქმნის არსებული სურათისა და საჭიროებების შესახებ. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია რეკომენდაციები ძირითადი აქტორებისთვის.

3. შექმნილი მდგომარეობის გავლენა ოჯახში ძალადობასა და მსხვერპლ ქალებზე

3.1. მსხვერპლ ქალთა არსებული მდგომარეობა

წინამდებარე სწრაფი მოკვლევის ფარგლებში გამოკითხულმა **უკლებლივ ყველა რესპონდენტმა დაადასტურა, რომ პანდემიის შედეგად შექმნილმა ვითარებამ ქალების მდგომარეობა დაამძიმა.** როგორც ერთმა რესპონდენტმა შეაჯამა -

> ***„ყველაფერმა ქალის ზურგზე გადაირია. ქალებს დარდი და ჯავრი მოემატათ“ (ფოკუს-ჯგუფი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები, მონაწილე ორსანტიიდან).***

გამოიკვეთა, რომ **არა მხოლოდ გამწვავდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა უკვე არსებული პრობლემები,** არამედ იზოლაციის პირობებში, ოჯახის წევრების ერთ სივრცეში ხანგრძლივმა გამოკეტვამ **ძალადობა წარმოშვა,** ან პროვოცირება გაუკეთა მისი გამოვლენის დაჩქარებას, იმ ოჯახებშიც, სადაც არ არსებობდა, ან გამოკვეთილი არ იყო. სახლიდან გასვლა, მოძრაობა, სხვა ადამიანებთან კონტაქტი ხშირად განმუხტავდა სიტუაციას, შეზღუდვებმა კი ეს შესაძლებლობა მოსპო -

> ***„იყო ძალადობა, თუმცა ვმუშაობდით, სახლიდან გასვლას ვახერხებდით და ეს გადაგვრთავდა ხოლმე. ამ სიტუაციამ კი ჩემი ცხოვრება რადიკალურად გააუარესა, მუდმივ ფსიქოლოგიურ სტრესს და შეურაცხყოფას ვიტან, ხელით შეხებაც ჩემს მეუღლეს უკვე ჩვევად ექცა. თუმცა თავს ვერ ვიცავ, წასასვლელი არსად მაქვს... (ტირის)“ (მსხვერპლი, ქუთაისი);***

> ***„იმ ოჯახებიდან, რომლებიც იდეალური გვეგონა, საღამოს საკმაოდ დაძაბული ხმები გამოდის. ჩაკეტილმა სივრცემ უფრო გამოავლინა ბევრ ოჯახში პრობლემა“ (ფოკუს- ჯგუფი, მონაწილე ხონიდან).***

რიგ შემთხვეევებში, ძალადობამ მიაღწია ისეთ ნიშნულს, რომელსაც ქალები ვეღარ ითმენენ -

> ***„თუ აქამდე წლები ითმენდნენ ძალადობას, იმით აბალანსებდნენ, რომ სახლში ორივე მხარე ერთად არ იმყოფებოდა, ამ სიტუაციაში ყველაფერი უარესობისკენ წავიდა და დაშორდნენ“ (ფოკუს-ჯგუფი, მონაწილე ხონიდან).***

გაუარესდა იმ ქალების მდგომარეობაც კი, ვინც მანამდე შეძლო მოძალადისგან თავის დაღწევა. იზოლაციის, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო ბევრი სამუშაო ადგილი დაიკარგა მომსახურების სფეროში, სადაც ძალადობისგან თავდაღწეული ბევრი ქალი მუშაობს. შედეგად, ისინი **იძულებულნი გახდნენ, დაბრუნებოდნენ**

მოძალადეს, რადგან ვეღარ ახერხებდნენ შვილების გამოკვებას და ბინის ქირის გადახდას -

> *„ჩემი სოფლელი წავიდა მოძალადე ქმრისგან, თბილისში დაიწყო მუშაობა სტილისტად. ახლახან გავიგე, მოძალადეს შერიგებია. სალონი დაუკეტიათ, სადაც მუშაობდა თბილისში, ბინის ქირას ვერ იხდიდა თურმე. გული დამწყდა ძალიან“ (ფოკუს-ჯგუფი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები, მონაწილე ორსანტიიდან).*

არსებულმა სიტუაციამ დააჩქარა პოტენციური მოძალადეების გამოვლენა, რომლებიც არსებულ შეზღუდვებს საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ და მანიპულირებენ მსხვერპლით -

> *„ბევრი რამ ამოტივტივდა. წინათ თუ თავს იკავებდნენ, ახლა [სახლში ჩაკეტილებს] უკვე მიეცათ საბაბი, დამოკიდებულება გამოავლინონ“ (ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორი).*

იზოლირებულ მოძალადეს კონტროლის დამატებითი სფეროები გაუჩნდა, მაგალითად, ოჯახური საქმეების კონტროლი -

> *„ეკონომიას ვაკეთებ და ამაზე ჩემი ქმარი მეჩხუბება. კაცებმა ასე იციან, რომ დააკლდეთ რამე, ქალს დააბრალებენ, ეკონომიურად არ იხმარეო. თუ ეკონომიურად იხმარე, ესეც არ მოსწონთ, კრუხივით დაჰკანკალებ ყველაფერსო“ (ფოკუს-ჯგუფი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები, მონაწილე ფახულანიდან);*

> *„რადგან საქმე არაფერი ჰქონდა, გადავიდა ჩემს კონტროლზე. რად უნდა სუპს ამდენი ბრინჯი - ვითომ ჭკუას მარიგებდა. პურის მოზელვას დავიწყებდი და თავზე დამადგებოდა, მანახე, რამდენი ფქვილი ჩაყარეო. ვერაფერს ვეუბნებოდი. მერე საშინელი თავის ტკივილი ამივარდებოდა და სულ გამაყუჩებელს ვსვამდი“ (მსხვერპლი, ზუგდიდი).*

ოჯახებში შექნილი ზოგადი დაძაბულობის განმუხტვა, ფაქტობრივად, ქალზე ძალადობით ხდება, რომელიც მრავალმხრივ არის მსხვერპლი - ქმრის, დედამთილ-მამამთილის, ძმის, შვილის და ა.შ. მხრიდან -

> *„ბავშვები დისტანციური სწავლების პროცესში არიან და ეს ძალიან აღიზიანებს ჩემს მეუღლეს და მის დედას. განსაკუთრებული პრეტენზია არის ჩემს მიმართ, მუდმივად ჩხუბობენ, მაძლევენ შენიშვნებს“ (მსხვერპლი, ქუთაისი).*

გაჩნდა ძალადობის დამატებითი რისკები, რადგან ქალაქიდან სოფლად წავიდნენ ოჯახის წევრები და ერთ სივრცეში ბევრმა ადამიანმა მოიყარა თავი -

> *„თუ მანამდე ცოლი, ქმარი და დედამთილი ცხოვრობდა, ახლა ქალაქიდან ვიღაც ჩამოვიდა და ბევრი ოჯახი ცხოვრობს ერთად. აქედან გამომდინარე, იყო მოზარდებზე, 18 წლის გოგონაზე დედის მეგობრის მხრიდან ძალადობა“ (ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის (ძდექ) წარმომადგენელი).*

მსხვერპლი ქალები, ზოგ შემთხვევაში, **მოკლებულნი არიან მეგობრულ, ახლობლურ**

მხარდაჭერას, რამაც დამატებით შექმნა დეპრესიული ფონი. უტრანსპორტობამ, მოძრაობის შეზღუდვამ, ამ მხრივ, დიდი როლი ითამაშა. იმ შემთხვევებშიც კი, თუ გადაადგილებისთვის ტერიტორიული ბარიერი არ არსებობს, მსხვერპლებს კატეგორიულად უკრძალავენ სახლიდან გასვლას, ახლობლების მონახულებას, იმ საბაბით, რომ შეიძლება ***„გზაზე ვინმე ვირუსიანი გადაეყაროს“ (ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორი).*** ასევე **მსხვერპლს შეზღუდული აქვს სატელეფონო კომუნიკაციის შესაძლებლობაც.** მცირე სივრცეში მოძალადის მუდმივი მეთვალყურეობის პირობებში განმარტოება ვერ ხერხდება -

> ***„ჩემი ქმარი ვერ იტანს, მე რომ ტელეფონი მიჭირავს და მეც დავანებე თავი, მოვერიდე უსიამოვნებას“ (მსხვერპლი, კახათი).***

გამოიკვეთა ქალებზე ეკონომიკური ძალადობის ერთგვარი ტენდენცია. არაერთ შემთხვევაში, ქალებს ოჯახის წევრები უკრძალავენ მუშაობას, ვირუსის სახლში მიტანის შიშის მომიზეზებით. ექიმ ქალს, რომელსაც კოვიდ ინფიცირებულებთან ჰქონდა შეხება, ქმარმა ულტიმატუმი წაუყენა - „ან პროფესია - ან ოჯახი!“ სამსახურის დატოვებაზე უარის შემდეგ კი სახლიდან წასვლა მოსთხოვა. ასეთი უპატივცემულობა ქალის საქმიანობის მიმართ უცებ, რასაკვირველია, არ გაჩნდებოდა -

> ***„ამ შემთხვევამდე ქმარს ნორმალური ადამიანის იმიჯი ჰქონდა. უბრალოდ, ამ სიტუაციამ ბევრი დაფარული და „შეფუთული“ პრობლემა გამოაჩინა“ (ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორი);***

ფონდი „სოხუმის“ ერთ-ერთ ბენეფიციარს, რომელიც მაღაზიის მენეჯერია, სამსახურის გამო, ქმრისგან მუდმივი ჩხუბისა და მუქარის ატანა უწევდა -

> ***„რამე არ მოიტანო თორემ...“ ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე უარის ართქმის შემდეგ ქმარმა ბავშვი წაიყვანა სოფელში - „ქალი დარჩა მარტო, შიშით შეპყრობილი და ოჯახის წევრების და საყვარელი შვილის მონატრებით განადგურებული“ (ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგი).***

ინფიცირების შიშის მომიზეზებით, ხშირია ზეწოლა დასაქმებულ ქალებზე, რომ მიატოვონ სამუშაო. ამ უკანასკნელთა მიერ სამსახურის მოტოვებაზე უარი ზოგჯერ საბაბად გამოიყენება სახლიდან მის გასაძევებლად. სიახლე არაა, რომ საკუთარი ოჯახი მხარს იშვიათად უჭერს მსხვერპლს და არ სთავაზობს საცხოვრებელს მშობლების სახლში. ერთ-ერთ მსხვერპლს ძმა და რძალი სთხოვდნენ, მიეტოვებინა სამსახური მაღაზიაში, ან წასულიყო ცალკე საცხოვრებლად. მას სახავდნენ საფრთხედ და აიძულეს, შვილთან ერთად ქირით გადასულიყო. მსხვერპლი, რომელსაც დიდი დრო დასჭირდა ქმრისგან განცდილი ძალადობის შედეგების დასაძლევად, ისევ მარტო აღმოჩნდა -

> ***„ქალს წლები დასჭირდა მდგომარეობიდან გამოსასვლელად და როცა უკვე მყარად იდგა მიწაზე, აღმოჩნდა მარტო, ძმისა და რძლის მიერ მიყენებული სასტიკი ტკივილით. რა თქმა უნდა, მარკეტში არსებული ხელფასით მას უჭირს ქირისა თანხის და შვილის რჩენა“ (ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგი).***

3.2. მიმართვიანობის ნაკლებობა: მიზეზები, გამოწვევები, მოლოდინები

პირველ ეტაპზე, მოლოდინის მიუხედავად, ნაკლები იყო მსხვერპლთა მიმართვიანობა. მსხვერპლის მხრიდან მიმართვიანობის დაბალი ნიშნული და ძალადობის განუცხადებლობა ხშირ შემთხვევაში განპირობებულია **სოციალური დაცულობის შეგრძნების არარსებობით და მხარდაჭერის არსებული მექანიზმის მიმართ უნდობლობით.** ძალადობის ფაქტების გამოვლენა ადრეც საკმაოდ რთული იყო მსხვერპლების გადაუწყვეტელობის გამო, თუმცა არსებულმა მდგომარეობამ ეს შიში და უნდობლობა კიდევ უფრო გააძლიერა და გაამძაფრა. მხარდაჭერის მექანიზმის მიმართ უნდობლობა, პერსპექტივის ბუნდოვანება ისედაც ართულებდა ქალებისგან ძალადობასთან ბრძოლას. თუმცა, თუ ადრე ქალს იმედი ჰქონდა, რომ იპოვიდა სამსახურს მომსახურების სფეროში, კრიზისის ფონზე, ამის მოლოდინიც საგრძნობლად შემცირდა -

> ***„პრობლემა არსებობდა ამ დაძაბულ სიტუაციამდეც, მსხვერპლს სულ ჰქონდა შიში დამოუკიდებლად არსებობის და ახლა, მერწმუნეთ, მეტად არის გამძაფრებული“ (ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ასისტენტი); „კარგი დროც რომ იყო, მაშინაც უჭირდათ გადაწყვეტილების მიღება და ახლა - მით უმეტეს“ (ძდექ-ის წარმომადგენელი).***

კვლავაც პრობლემად რჩება **ინფორმაციის ნაკლებობა.** გამოიკვეთა, რომ დიდ როლს ასრულებს სატელევიზიო რგოლები, რადგან ეს ინფორმაციის მაინც ყველაზე ხელმისაწვდომ წყაროდ რჩება რეგიონებში -

> ***„კარგია, ამდენი ინფორმაცია რომ მოდის. ვიღაც ალბათ მაინც დარეკავს. ვიღაცას იმედი გაუჩნდება, რომ ახლა არ სჭირდება, მაგრამ, თუ გაუჭირდა, დარეკავს“ (ფოკუს-ჯგუფი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები, მონაწილე კოკიდან).***

გამოიკვეთა, რომ ძალადობის მასშტაბების გამოვლენას რამდენიმე ფაქტორი აბრკოლებს. უპირველეს ყოვლისა, **მსხვერპლი მოძალადის გამუდმებული მეთვალყურეობის, კონტროლის ქვეშაა.** მას არა თუ შესაბამის უწყებებთან, არამედ ახლობელ ადამიანებთანაც კი უჭირს კონტაქტი და სიმართლის თქმა თავის მდგომარეობაზე -

> ***„ჩემი დისშვილი მეუბნებოდა, კარგად ვარო. მერე გავიგე, თურმე ტელეფონით ლაპარაკს უკრძალავენ, შენი ოჯახის ამბავი გარეთ ნუ გაგაქვსო. როცა ტელეფონზე ვინმე ურეკავს, ყველა ერთად უსმენს“ (ფოკუს-ჯგუფი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები, მონაწილე ფახულანიდან);***

> ***„იყო რამდენიმე შემთხვევა, მეზობლის დახმარებით დაგვიკავშირდნენ, რადგან მოძალადის თვალწინ ვერანაირად ვერ შეძლებდნენ დარეკვას“ (ძდექ-ის წარმომადგენელი).***

მიმართვიანობას ხელს უშლის **ინტერნეტის ხელმიუწვდომლობა, ან მისი მოხმარების არცოდნა -**

„ჯერ კიდევ არსებობს ადგილები, სადაც ინტერნეტი საერთოდ ხელმიუწვდომელია, ან მეტისმეტად ძვირია ადგილობრივებისთვის“ (ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ასისტენტი).

კიდევ ერთი გარემოება, რაც აბრკოლებს ქალს, არის არსებულ სიტუაციაში **სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან მხარდაჭერის ნაკლები მოლოდინი, გაკიცხვის შიში.** ქალები ფიქრობენ, რომ მათი პრობლემები ამ ფონზე უმნიშვნელოა და **საზოგადოებას ნაკლებად აწუხებს -**

„ალბათ შეიძლება ვინმემ გამკიცხოს, რა დროს ძალადობაა, როცა ადამიანები იღუპებიან პანდემიით და მსოფლიო ამოუცნობი მტრის წინააღმდეგ იბრძვის. ტელევიზიაში ხშირად მესმის, რომ გაიზარდა ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ სტატისტიკა უფრო მეტად საგანგაშოა, ვიდრე ვხედავთ“ (მსხვერპლი, ქუთაისი).

მსხვერპლების უმეტესობა ფიქრობს, რომ ამ პერიოდში მათ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებისთვის საზოგადოება გაკიცხავს - ***„ჩემთვის ახლა არავის სცალია...“*** ამ სიტყვებით მიმართავენ ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგს და ურჩევნიათ, ანონიმურად ისაუბრონ. მსხვერპლთა ასეთი დამოკიდებულება საფუძველს მოკლებული არ არის -

„ჩემი აზრით, შემცირდა მხარდაჭერა მსხვერპლებისათვის, მეტად უფრო ორიენტირებულია დღეს საზოგადოება თავის სოციუმზე - ოჯახზე და სხვისი პრობლემების გაზიარებით დაინტერესებული არ არის“ (ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგი);

„მეზობლების როლი ძალიან დაბალია, ესმით ჩემნაირ ოჯახებში არსებული რეალობა, თუმცა არ აჯავრებთ. საზოგადოება არ აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას ამ კუთხით“ (მსხვერპლი, ქუთაისი).

რესპონდენტთა ნაწილის თქმით კი -

„ადამიანები, ვისაც მანამდეც ჰქონდათ ემპათია - ახლაც იგივე აქვთ“ (ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორი).

ძალადობის შემთხვევათა გამოვლენის დამაბრკოლებელი ფაქტორია **პოლიციისადმი უნდობლობა და სახელმწიფოსგან საჭირო მხარდაჭერის და დახმარების მიღების მიმართ სკეპტიციზმი.** ქალებს არ სჯერათ, რომ პოლიციის გამოძახებით მათი პრობლემა გადაწყდება. პირიქით, ზოგიერთის აზრით, მოძალადის დაჭერით, შესაძლოა, მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდეს -

„პოლიციის დახმარებას მე ვერავის ვურჩევდი, საკუთარი შვილიც რომ იყოს. პოლიციის მიერ დაწყობილი ოჯახი რად ვარგა! ადექი და წამოდი, თუ არ დაგედგომება, რაღაც იქნება. პოლიცია რას იზამს? დაიჭერს შენს ქმარს და მერე ციხეში ამანათები უნდა უგზავნო. რას გავს ეს? ეს ოჯახი არაა“ (ფოკუს-ჯგუფი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები, მონაწილე ხურჩიდან);

„სამსახურს ვერ იშოვი, ბინას არავინ მოგცემს და მეტი რაში უნდა დაგეხმაროს? დაიჭერს ამ შენს ლოთ ან ეჭვიან ქმარს და ისევ შუა გზაზე დარჩები“ (ფოკუს-ჯგუფი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები, მონაწილე ხურჩიდან).

ძალადობის ფაქტების გახშირებას და მსხვერპლთა მდგომარეობის დამძიმებას თავიდანვე ელოდა და ადასტურებდა **სამოქალაქო სექტორი.** დღეს არსებული მონაცემებით, არასამთავრობოებისთვის **მიმართვიანობა თვალშისაცემადაა გაზრდილი და კიდევ მეტის მოლოდინი არსებობს -**

> *„გაიზარდა მომართვიანობა. ძირითადად, ქალები რეკავენ და ითხოვენ დახმარებას - უნდათ, ვასწავლო გზები, თუ როგორ შეიძლება დარეგულირდეს მეუღლესთან ურთიერთობები“ (ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგი);*

> *„არცერთი პროცენტი არ არის იმის ალბათობა, რომ ამ პერიოდში ძალადობა შემცირდა, ან მსხვერპლი არ გვყავს, პირიქით“ („მერკურის“ ფსიქოლოგი);*

> *„მომართვიანობის სხვა დროის მონაცემებს მნიშვნელოვნად გადავაჭარბეთ“ (ძდექ-ის წარმომადგენელი);*

> *„ქვეყანაში გაჩნდება მსხვერპლთა ახალი კატეგორია, რომელსაც პირობითად შეიძლება პოსტკორონასეული კატეგორიაც დავარქვათ. ამის საფუძველს იძლევა ის ემოციური ფონი, რომელიც ოჯახების უმრავლესობაში შეიქმნა და რომლის მართვა ბევრი წყვილისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა“ („მერკურის“ ფსიქოლოგი).*

4. მსხვერპლთა საჭიროებები - რეაგირება, სერვისები და მათზე ხელმისაწვდომობა

მსხვერპლს, ძირითადად, იგივე საჭიროებები აქვს, რაც მანამდე - დასაქმება, ეკონომიკური მხარდაჭერა, საცხოვრისით უზრუნველყოფა, ფსიქოლოგიურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა რეგიონებში, ადგილობრივ ბიუჯეტებში მსხვერპლ ქალთა საჭიროებების უკეთ ასახვა, რეგიონებში ინფორმირების კამპანიის უფრო ეფექტიანად წარმართვა, სოფლად ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. **ძალაში რჩება სახელმწიფოსგან მსხვერპლთა დამოუკიდებლად არსებობისთვის საჭირო პროგრამების დანერგვის მოთხოვნა.**

ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ დახმარების პროგრამებში არ არის გათვალისწინებული არსებულ სიტუაციაში **მსხვერპლი/პოტენციური მსხვერპლი ქალების, მარტოხელა დედების განსაკუთრებული საჭიროებები.** აუცილებელია, ამ ჯგუფის ინტერესები ადეკვატურად იყოს წარმოდგენილი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური დახმარების პაკეტებში -

> ***„ჩვენი ქალებისგან ხშირად მესმის ეს პრობლემა, რომ სახელმწიფოს დახმარებაში არასოდეს არ არის გამოკვეთილი მსხვერპლი ქალების ან მარტოხელა დედების კატეგორია. არანაირი დახმარების პაკეტი მათთვის ცალკე არ არსებობს“ (ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორი).***

პანდემიისას, ოჯახში ძალადობის მასშტაბისა და მსხვერპლი ქალების რეალური რაოდენობა არ არის გამოვლენილი და საჭიროა სახელმწიფოს პროაქტიული მუშაობა. ამისათვის, **მნიშვნელოვანია, გააქტიურდეს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის** როლი და მისი კოორდინაცია შესაბამისი ექსპერტიზის მქონე სამოქალაქო საზოგადოებასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია **რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, მათი ცოდნის გაზიარების აუცილებლობა**, რადგან ისინი უშუალოდ მუშაობენ ისეთ რეგიონებში, სოფლებში, სადაც სახელმწიფო სერვისები და მხარდაჭერა ხელმიუწვდომელია და ფლობენ ინფორმაციას ოჯახში ძალადობისა და მსხვერპლების/სავარაუდო მსხვერპლების შესახებ. მათი ცოდნისა და გამოცდილების ადეკვატურად გამოყენება დაეხმარება სახელმწიფოს, უკეთ შეასრულოს თავისი როლი და გააუმჯობესოს დაზარალებული ქალების მხარდაჭერა.

არასამთავრობო სექტორის ზოგადი შეფასებით, თავიდან **ქვეყანა მზად არ აღმოჩნდა პანდემიით შექმნილი გამოწვევებისთვის. შემდეგ ეტაპზე შედარებით გააქტიურდა მუშაობა.** სახელმწიფომ დაიწყო კამპანია ინფორმაციის გასავრცელებლად, მათ შორის: ბუკლეტების, ცხელი ხაზის ნომრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, სმს შეტყო-

ბინებები ტელეფონზე და ა.შ. ასევე დაანონსდა სააფთიაქო ქსელებში, მაღაზიებსა და საკარანტინო სივრცეში ინფორმაციის განთავსება. ჩვენ მიერ მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმებულ ობიექტებში (აფთიაქები, მაღაზიები, საკარანტინო სივრცეები) მსგავსი ინფორმაცია არ არის -

> ***„ერთ კვირაზე მეტი უკვე გავიდა და მე არ მომხვედრია თვალში ეს საინფორმაციო ბანერები" („წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი - GCRT"-ის ფსიქოლოგი).***

კარანტინის რეჟიმის საწყის ეტაპზე **სახელმწიფოს გაუჭირდა სწრაფი რეაგირება და სერვისების ახალ რეალობაზე გადაწყობა.** დაბრკოლდა გადაყვანა თავშესაფარში, როცა მსხვერპლები რეკავდნენ, ეუბნებოდნენ: „საკარანტინე პრობლემაა" -

> ***„შემდეგ დალაგდა ყველაფერი. ერთი სართულით ზემოთ გააკეთეს საკარანტინო სივრცე, შესაბამისი დროის გასვლის შემდეგ, ჩამოჰყავდათ ქვემოთ" (ძდექ-ის წარმომადგენელი).***

მსხვერპლისათვის არსებული სერვისების ნაწილი გადავიდა დისტანციურ რეჟიმში მუშაობაზე. ამ პირობებში **გამოწვევას წარმოადგენს ინტერნეტთან შეზღუდული წვდომა მსხვერპლთა დიდი ნაწილისათვის** -

> ***„ბენეფიციარების უმრავლესობას არ აქვს ინტერნეტთან წვდომა იმ დოზით, რომ ჩაერთონ შეხვედრებში. ვცდილობთ, ამ შემთხვევაში ტელეფონით კომუნიკაციის მეთოდი გამოვიყენოთ. ამ პირობებში ეს მაქსიმუმია, რისი გაკეთებაც შეგვიძლია დისტანციურად" (ფონდი „სოხუმის" ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ასისტენტი).***

სახელმწიფოს მიერ შექმნილი 112-ის აპლიკაცია დადებითად შეფასდა, თუმცა არასამთავრობო სექტორის აზრით, **მხოლოდ მასზე დაყრდნობა არ შეიძლება,** რადგან ბევრ ქალს არ მიუწვდება ხელი სმარტფონსა და ინტერნეტზე, ან არ შეუძლია მისი გამოყენება, მათ შორის, ასაკოვან მსხვერპლებს -

> ***„ბოლომდე გამართლებული არ იყო აპლიკაციაზე და მის ეფექტიანობაზე საუბარი. ჩვენთან ისეთი ოჯახები ცხოვრობს, არ არის ისეთი სიტუაცია, ინტერნეტით ისარგებლოს, გადმოწეროს აპლიკაცია და შევიდეს, საჭიროებისამებრ მოიხმაროს" (ძდექ-ის წარმომადგენელი).***

პრობლემურია სოცმუშაკთა ჩართულობა და რეაგირებაც, ეს პრობლემა იყო ადრეც და უფრო გამოიკვეთა ამ პირობებში -

> ***„მოდუნდნენ და სოციალურ მუშაკებს ძალიან გაუჭირდათ ამ შემთხვევებზე მუშაობა და ახლა მით უმეტეს საერთოდ გვერდზე აქვთ გადადებული, თან ცალკე, ოჯახში ძალადობის პრობლემაზე მომუშავე სოციალური მუშაკები დღემდე არ გვყავს" (ძდექ-ის წარმომადგენელი).***

არადა, მათ მეტად სასარგებლო როლის შესრულება შეუძლიათ. სოცმუშაკებს აქვთ მოწყვლადი ჯგუფების, ძალადობის რისკ-ჯგუფების მონაცემები და შეუძლიათ არა

მხოლოდ **ოჯახში ძალადობის ფაქტის და მსხვერპლის პროაქტიულად გამოვლენა,** არამედ **პრევენციის კუთხით დადებითი როლის შესრულება.** მათი ჩარევა, პოლიციისგან განსხვავებით, ნაკლებ დასაბუთებას საჭიროებს, ამიტომ სოციალური მუშაკების მეტი ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა -

> ***„მათ ნამდვილად შეუძლიათ, აწარმოონ მონიტორინგი, შეასრულონ ვიზიტი თუ სატელეფონო კავშირი. და ეს ერთ-ერთი ბერკეტი იქნება, რომ ძალადობის პრობლემა, შემთხვევა უფრო ხილული გახდეს, მსხვერპლმა უფრო დაცულად იგრძნოს თავი“ (GCRT-ის ფსიქოლოგი).***

პოლიციის რეაგირების მხრივ აღსანიშნავია, რომ შეძლებისდაგვარად სწრაფია, მაგრამ **ნაკლები ენთუზიაზმით ხასიათდება.** თუმცა, არასამთავრობო სექტორის ჩარევის შედეგად, რეაგირება უფრო ადეკვატური ხდება -

> ***„ფიქრობენ თითქოს, ამაზე დროის დაკარგვა არ უნდათ, ეს შინაგანი ემოცია მაინც მოდიოდა. „რა დროს ეგ არის“, ეს ტერმინები ჰქონდათ. თუმცა ბოლომდე მაინც კარგად მიყვნენ საკუთარ ვალდებულებებს“ (ძდექ-ის წარმომადგენელი).***

ასევე რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს **პოლიციის მიერ ანონიმურობის დაცვის მნიშვნელობას,** რაც, სამწუხაროდ, ირღვევა და ცნობილი ხდება, ვინ დარეკა, ვინ განაცხადა ძალადობის ფაქტის შესახებ -

> ***„ეს გარკვეულ საფრთხეს უქმნის განმცხადებელს. ისედაც ფსიქოლოგიური წნეხია, ყველას თავისი გასაჭირი აქვს ამ რთულ პერიოდში“ (GCRT-ის ფსიქოლოგი).***

რესპონდენტთა თქმით, **სათანადოდ არ არის გამოყენებული უბნის რწმუნებულების რესურსი.** ამ უკანასკნელთ აქვთ ინფორმაცია პრობლემურ ოჯახებზე და შეუძლიათ, თუნდაც მოძალადესთან გასაუბრებით, ხელი შეუწყონ პრევენციას. ამ მიმართულებით გააქტიურება აუცილებელია.

თვითმმართველობების მიერ რეაგირების მხრივ გამოიკვეთა, რომ **ზოგიერთი მუნიციპალიტეტი დაეხმარა მათთან რეგისტრირებულ მსხვერპლებს სასურსათო პროდუქტებით,** რაც მნიშვნელოვანი იყო ქალებისთვის. თუმცა მათი რესურსები ჯეროვნად არ არის გამოყენებული. ნებისმიერ მუნიციპალიტეტში, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისთვის კარგადაა ცნობილი ოჯახში ძალადობის პრობლემისა და მსხვერპლების შესახებ. მათგან შეიძლება ინფორმაციის შეგროვება და ამ ოჯახებთან დაკავშირება, რაც, სამწუხაროდ, არ ხდება -

> ***„ზოგან სასაცილოდ და საქილიკოდ მიაჩნიათ ეს თემა. წარმოდგენაც არ აქვთ თვითმმართველობის ვალდებულებებზე ამ კუთხით“ (ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორი).***

წარმოქმნილ გამოწვევებზე რეაგირების მხრივ **არასამთავრობო სექტორი უფრო მოქ-**

ნილი აღმოჩნდა. ერთი მხრივ, მათ **უკეთ ასახეს ძალადობის გაზრდილი მასშტაბი,** მეორე მხრივ, მოლოდინის რეჟიმში ყოფნის ნაცვლად, **პროაქტიულად შეეცადნენ მსხვერპლის მხარდაჭერას.** ასევე არსებულ მდგომარეობასთან ადაპტაციისთვის, სერვისები მაქსიმალურად მოარგეს ბენეფიციარების ინტერესებს, თუმცა გამოწვევები მაინც არსებობს -

> *„მაქსიმალურად ვიყენებთ ტელეკომუნიკაციას და, შესაძლებლობის შემთხვევაში - ინტერნეტ სივრცესაც. ძირითადი გამოწვევაა, რომ ნაკლებად ხერხდება ინდივიდუალური კონსულტაცია, რადგანაც მსხვერპლი არის ჩაკეტილ სივრცეში“ (ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ასისტენტი).*

არასამთავრობო ორგანიზაციებმა განსაზღვრეს რისკ-ჯგუფები და თავად დაუკავშირდნენ, ცდილობენ მათი მდგომარეობის გარკვევას. ასევე მათ, უცხოეთის გამოცდილების გათვალისწინებით, შექმნეს დამატებითი, უსაფრთხო შეტყობინების შესაძლებლობა მსხვერპლებისათვის -

> *„თუ პირდაპირ ლაპარაკს ვერ ახერხებს, შემოვლითი გზებით ვცდილობთ, გავარკვიოთ, როგორია ქალის განწყობა და ფსიქოემოციური მდგომარეობა“ (GCRT-ის ფსიქოლოგი);*

> *„ჩვენ შევქმენით კოდური სიტყვა. მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ თუ ვერ ახერხებენ დაგვირეკონ, ან მოგვწერონ, რადგან ყველას ტელეფონი კონტროლდება, უნდა მოგვწერონ კოდური სიტყვა. 22 დღეა მხოლოდ გასული და უკვე 4 შემთხვევა გამოვავლინეთ“ (ძდექ-ის წარმომადგენელი).*

დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე მოკვლევით გამოვლენილი სურათი ადასტურებს, რომ **COVID 19-ის გავლენა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მდგომარეობასა და სერვისებისადმი ხელმისაწვდომობაზე მკვეთრად უარყოფითია** და **მრავალმხრივ დაამძიმა მათი მდგომარეობა,** ასევე დამატებით **ბევრი ქალი აქცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლად**. აუცილებელია, სახელმწიფომ თავისი დამოკიდებულებით აგრძნობინოს მსხვერპლს, რომ, შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად, მისი პრობლემები არ არის მეორეხარისხოვანი ან უმნიშვნელო და ასევე აჩვენოს მოძალადეს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, არ დარჩება დაუსჯელი. მოძალადემ უნდა იცოდეს, რომ ყურადღებით აკვირდებიან. ეს შეიძლება იყოს მისთვის შემაკავებელი ფაქტორი -

> ***„არსებულ ვითარებაში განსაკუთრებით საჭიროა მსხვერპლთა მხარდაჭერა. ყველაზე მთავარი არის ერთი ჟესტი - „ნუ გეშინია, შენს გვერდით ვარ!“ იმედი, რომ შეიძლება, დაცული იყოს მოძალადისგან“ (ფონდი „სოხუმის“ ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორი).***

არაორდინალური მდგომარეობით შექმნილი გამოწვევების გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი **რეკომენდაციების შეთავაზება:**

საქართველოს მთავრობას:

- საჭიროა, სახელმწიფომ პროაქტიულად იმოქმედოს და გამოკვეთოს კრიზისული ოჯახები, მიაწოდოს მათ ინფორმაცია და შესთავაზოს შესაბამისი სერვისები;
- საჭიროა თვითმმართველობასთან თანამშრომლობის გააქტიურება მსხვერპლი ქალების გამოსავლენად და მათთვის საჭირო დახმარების კოორდინირებულად გასაწევად;
- საჭიროა, სახელმწიფომ სოციალურ-ეკონომიკური დახმარების პაკეტის შემუშავებისას გამოკვეთოს და გაითვალისწინოს მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი ქალების, მარტოხელა დედების ინტერესები, რადგან კრიზისის შედეგად ისინი განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან;
- აუცილებელია, სახელმწიფომ გააააქტიუროს თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან, განსაკუთრებით, რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციებთან, მათ შორის, უწყებათაშორისი კომისიის ფორმატში, რათა უკეთ გამოავლინოს და უპასუხოს ოჯახში ძალადობის მხრივ მზარდ გამოწვევებს;

- საჭიროა ინფორმაციის გასავრცელებლად უფრო აქტიური მუშაობა, მათ შორის, სატელევიზიო მედიის, ასევე რეგიონის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი სხვა საშუალებების (მაღაზიებსა და სხვა ადგილებში პლაკატების გაკვრა და ა.შ.) გამოყენებით;
- აუცილებელია სოფლის მოსახლეობისთვის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ამის საჭიროება ცალსახად წარმოაჩინა შექმნილმა ვითარებამ;
- აუცილებელია, გაიზარდოს ფსიქოლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, რეგიონებში; არსებული მწვავე დეფიციტის გათვალისწინებით, მაგალითად, შესაძლებელია, ოჯახში ძალადობის და პანდემიის გავლენის შესახებ კვალიფიციური ფსიქოლოგის საუბრების ტელევიზიით შეთავაზება (მსგავსად, ტელესკოლისა), რადგან ეს ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა სოფლის მოსახლეობისთვის ხმის მისაწვდენად;
- საჭიროა, სახელმწიფოს რეაგირების სამიზნე გახდეს მოძალადე და გააქტიურდეს მასთან პრევენციული ფსიქოლოგიური მუშაობა;
- აუცილებელია სოციალური მუშაკების სპეციალიზება ოჯახში ძალადობის საკითხებზე და მათი როლის გააქტიურება მსხვერპლთა მხარდასაჭერად, განსაკუთრებით, რისკ-ჯგუფში შემავალი ოჯახების მონიტორინგის და პრევენციული მუშაობის მიზნით;
- აუცილებელია მუშაობის გაგრძელება პოლიციელთა გენდერული მგრძნობელობის ასამაღლებლად, პანდემიით შექმნილი გენდერული ძალადობის მომეტებული რისკის შესახებ მათი სათანადოდ ინფორმირება; ასევე ძალადობის შემთხვევის შეტყობინების დროს, განმცხადებლის ანონიმურობის გარანტირება;
- მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან კიდევ უფრო აქტიური მუშაობა, რადგან იზოლაციის პირობებში, მსხვერპლის დაუცველობის პირობებში, წახალისდეს ძალადობის გამოვლენაში საზოგადოების მონაწილეობა;
- საჭიროა, სახელმწიფომ, შემზღუდავი ზომების გაუქმების შემდეგაც, აქტიურად გააგრძელოს მსხვერპლთა დასახმარებლად მუშაობა, რადგან შედეგები გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო მწვავედ იჩენს თავს.

ადგილობრივ თვითმმართველობას:

- აუცილებელია, ოჯახში ძალადობის პრობლემისა და მსხვერპლთა მდგომარეობის გამწვავების გათვალისწინებით, მხარდაჭერის სერვისების გაფართოება და ქალთა საჭიროებების ადგილობრივ ბიუჯეტში უკეთ ასახვა;
- საჭიროა სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და მოსახლეობამდე მიტანაში უფრო აქტიურად მონაწილეობა;

- საჭიროა მსხვერპლთა გამოსავლენად პროაქტიულ მუშაობაში ჩართვა, რაც მოსახლეობასთან სიახლოვის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტებს ცენტრალურ ხელისუფლებაზე უკეთ შეუძლიათ. ამისათვის შესაძლებელია ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების რესურსის გამოყენება და მათთვის უშუალო ინსტრუქციების მიცემა პირველადი და დროული ჩარევისთვის.

არასამთავრობო სექტორს:

- სასურველია, არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეძლონ დამატებითი რესურსების მობილიზება და შესაბამისი სპეციალისტების გადამზადება, მიმართვიანობის მოსალოდნელი ზრდის გამო, მათ შორის პოსტიზოლაციურ პირობებში;
- სასურველია მსხვერპლებთან მუშაობისა და ძალადობის გამოვლენის პროაქტიული რეჟიმის შენარჩუნება და გაგრძელება;
- საჭიროა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მუშაობის გააქტიურება პოსტიზოლაციურ პერიოდში, მსხვერპლთა უკეთ დასახმარებლად.

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

მონიტორინგის დოკუმენტზე მუშაობდა
ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა:
ლელა ხათრიძე
ეკატერინე გამახარია

მონაცემთა შეგროვებაზე მუშაობდა
ქუთაისის სათაო ოფისის
მონიტორინგის ჯგუფი:
ემა კამკია, ხათუნა გოგუა,
თეა გოლეთიანი, გურანდა გვანცელაძე

რედაქტორი - ლალი შენგელია
დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია:
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

womansukhumi@gmail.com
fundsukhumitbilisi@gmail.com

www.fsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi/